186
1962
186
F/3630
73

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 1962 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

47. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 თებერვლის № 214 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა გაუქმების შესახებ.
48. მეცნიერთა კადრების შერჩევისა და მომზადების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
49. კოლმეურნეობებში კოლმეურნეთა შრომის ყოველთვიური ფულადი გარანტირებული ანაზღაურების და შიგასამეურნეო ანგარიშსწორების დანერგვის ზომების შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილება

50. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშების დაწესების შესახებ, რომლებიც მიენიჭებათ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ძირითად სახეობათა წარმოებისა და დამზადების დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

51. სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელების გამოსაღების გადახდისაგან ინვალიდთა განთავისუფლების შესახებ.

52. საქართველოს სსრ „მშაჩის საქალაქო და რაიონული ბიუროს მიერ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ“ და „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მდივნების მიერ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ“ ინსტრუქციებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.

53. იმ ფულადი ჯიშობრივი დანამატების ოდენობის შესახებ, რაც კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს, სასელექციო, საცდელ სადგურებსა და სხვა მეურნეობებს ეძლევათ სახელმწიფოსათვის მისაყიდი (ჩასაბარებელი) სიმინდის ჰიბრიდულ და ჯიშიან თესლში.

54. საქართველოს სსრ სახელმწიფო ტყის ფონდის სათიბ-საძოვარი ფართობების განაწილებისა და გამოყენების წესებში ნაწილობრივ ცვლილებათა შეტანის შესახებ.

55. საპენსიო უზრუნველყოფის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის მიერ მიღებული ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ.

56. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 1 თებერვლის № 105 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

57. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და სადაბო საბჭოების აღმასკომებთან არსებული აქტივისტ-პენსიონერთა საბჭოების დებულების დამტკიცების შესახებ.

58. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 3 დეკემბრის № 816 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლისა და სამარშრუტო სატვირთო ტაქსმოტორებით მგზავრობის ტარიფების შესახებ.

59. საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების დებულების დამტკიცების შესახებ.

60. ავტომობილების სარემონტოშორისო გარბენის დამტკიცებული ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის ავტომობილების შოფრებისა და საავტომობილო მეურნეობათა რემონტის მუშების დაჯილდოების გაუქმების შესახებ.

61. იმ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ფრინველის, ბოცვერის, ნაღებისა და ერბო-კარაქის შესასყიდი და ჩასაბარებელი ფასების შესახებ, რომლებსაც საქართველოს სსრ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები მიჰყიდიან (ჩააბარებენ) სახელმწიფოს.

62. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების გახსნის შესახებ.

63. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სოფლის ელექტროსადგურებისა და ელექტროდანადგარებისადმი ტექნიკური ზედამხედველობისა და კონტროლის რესპუბლიკური ინსპექციის („სახსოფლელექტროზედამხედველობის“) დებულების დამტკიცების შესახებ.

64. მოქალაქეთა კუთვნილი იმ შენობების ღირებულების ანაზღაურების წესის შესახებ, რომლებიც აღებულ უნდა იქნან ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო და საზოგადოებრივ საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

47 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 თებერვლის № 214 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა გაუქმების შესახებ

„სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების ახალი სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო კანონების და სასამართლო წყობილების კანონების მიღებასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 თებერვლის № 214 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 27 მარტის № 377 დადგენილება „კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ 1941 წელს შესანახად მიღებული რადიომიმღებების მოსახლეობისა, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის დაბრუნების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 13 აგვისტოს № 669-ს დადგენილების მე-3 მუხლი.

3. „სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის სისტემაში მომხდარი დარღვევების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 19 თებერვლის № 118 დადგენილების მე-3 მუხლის ქვეპუნქტი „ბ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 1 აგვისტოს № 984 დადგენილება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 14 ივლისის ბრძანებულებით გათვალისწინებულ დანაშაულობათა გამო აღძრული საქმეების სასამართლოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოვის გადაცემის წესის შესახებ“ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს ინსტრუქციის მოწონების თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 14 ივლისის № 2518 დადგენილების დაგზავნის შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 9 სექტემბრის № 1414 დადგენილება „საქართველოს სსრ საწარმოებში და მშენებლობებზე შრომის დისციპლინის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შესახებ“ გარდა 4, 5, 7 და 12 მუხლებისა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 22 მაისი, № 350.

48 მეცნიერთა კადრების შერჩევისა და მომზადების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „მეცნიერთა კადრების შერჩევისა და მომზადების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი მთლიანად და საკუთრივ ახასიათებენ საქართველოს სსრ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაობასაც.

ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი მეცნიერთა კადრების მომზადების დაგეგმვა. საკმარისი არ არის მომზადების ტემპები და ისინი ვერ უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებათა და მეცნიერების მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

რესპუბლიკაში მეცნიერთა კადრების მომზადება ძირითადად წარმოებს მეცნიერების იმ დარგებისათვის, რომლებშიაც სპეციალისტები ცოტად თუ ბევრად საკმარისია, ხოლო სათანადოდ არ წარმოებს კადრების მომზადება დეფიციტურ სპეციალობათა, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ მიმართულებათა მიხედვით.

საკმაოდ კარგად არის დაყენებული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კადრების მომზადება, რის თქმაც არ შეიძლება მეცნიერებისა და ტექნიკის ისეთ დარგებზე, როგორიცაა ხელსაწყომშენებლობა, ბირთვული ფიზიკა, მაგარი სხეულის ფიზიკა, თბოფიზიკა, ავტო-

მატიკა და ტელემექანიკა, რადიოელექტრონიკა და კიბერნეტიკა, ბიოლოგია, კვების პროდუქტების ტექნოლოგია, ეკონომიკა და სხვ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტებში უკანასკნელი 7 წლის მანძილზე მიღებულია 137 ასპირანტი, ასპირანტურა დაამთავრა 133 კაცმა, მაშინ როდესაც მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტებში მიღებული იყო 131 ასპირანტი, დაამთავრა 97 კაცმა, ხოლო ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტებში მიღებული იყო 108 ასპირანტი, დაამთავრა 87 კაცმა.

ამავე პერიოდში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში ჩაირიცხა 321 კაცი, აქედან 181 კაცი — ისტორიულ, ფილოლოგიურ, ეკონომიურ და იურიდიულ ფაკულტეტებსა და უცხო ენების კათედრებზე, ხოლო ფიზიკის, ქიმიის, მექანიკის, მათემატიკის, გეოგრაფიის, გეოლოგიის, ბიოლოგიის სპეციალობაზე — 140 კაცი.

მეტისმეტად ჭიანურდება დისერტაციების დაცვა იმ პირთა მიერ, რომლებმაც ასპირანტურა დაამთავრეს. მაგალითად, 1955-1961 წლებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და განათლების სამინისტროს სისტემის ასპირანტურაში მიღებული იყო 1.092 კაცი, ამ პერიოდში ასპირანტურა დაამთავრა 804 კაცმა, დისერტაცია დაიცვა კი მხოლოდ 217 კაცმა, რაც შეადგენს იმ პირთა რიცხვის 27 პროცენტს, რომლებმაც ასპირანტურა დაამთავრეს, აქედან დისერტაცია დაწესებულ ვადაში დაიცვა მხოლოდ 23 კაცმა.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით მიმდინარეობს ასპირანტურის დაკომპლექტება.

ხშირად ბევრ დისციპლინაში შესასვლელი გამოცდების დროს კონკურსები თითქმის არ ტარდება, რაც აიხსნება სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების სუსტი კავშირით სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, განათლების, კულტურის, ხელოვნებისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებთან. მაგალითად, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც იყო ასპირანტის 34 ვაკანტური ადგილი, გამოცდებზე დაშვებული იყო 34 კაცი, 1960 წელს იყო 32 ადგილი, გამოცდებს აბარებდა 35 კაცი, 1961 წელს 39 ადგილზე გამოცდებს აბარებდა 44 კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასპირანტურაში 90 ადგილზე მისაღებ გამოცდებს აბარებდა 90 კაცი, ჩაირიცხა 71 კაცი; 1960 წელს 84 ადგილზე პრეტენდენტი იყო 88 კაცი და ჩაირიცხა 72 კაცი; 1961 წელს 78 ადგილზე გამოცდას აბარებდა 78 და ჩაირიცხა 64 კაცი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში 1959 წელს 67 ადგილზე გამოცდას აბარებდა 82 კაცი, 1960 წელს 83 ადგილზე — 109, ხოლო 1961 წელს 83 ადგილზე — 89 კაცი.

ანალოგიური მდგომარეობაა რესპუბლიკის ბევრ სხვა სამეცნიერო დაწესებულებაში.

კონკურსის უქონლობის შედეგად მეცნიერებისა და ტექნიკის მთელ რიგ დეფიციტურ დარგებში ადგილი აქვს ასპირანტთა მცირე რაოდენობით მიღებას, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში ასპირანტურაში ხვდებიან სუსტად მომზადებული, მეცნიერებისათვის უპერსპექტივო პირები.

მნიშვნელოვანი ხარვეზებია ასპირანტებთან მუშაობაში. ხშირია შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ მიზეზით იცვლება მუშაობის ინდივიდუალური გეგმები. საგნების შესწავლა ზოგჯერ რთულდება, ჭიანურდება. არის შემთხვევები, როდესაც ასპირანტთა ინდივიდუალური გეგმებით არ არის გათვალისწინებული მოცემული სპეციალობისათვის საჭირო საგნები. ხშირად სადისერტაციო თემებს ამტკიცებენ დიდი დაგვიანებით — სწავლების მეორე წლის დამლევს და მესამე წელსაც კი. ზოგიერთ ინსტიტუტში თემის შერჩევა ხდება შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად.

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს ასპირანტთა მეცნიერი ხელმძღვანელების შერჩევას.

ასპირანტისადმი, სადისერტაციო ნაშრომის შერჩევისადმი უყურადღებო დამოკიდებულება, ფორმალიზმი ასპირანტის ატესტაციის საქმეში, მეცნიერი ხელმძღვანელების, ინსტიტუტთა რექტორატის, დირექციის, პარტიული ორგანიზაციების მხრივ ასპირანტისადმი სათანადო ხელმძღვანელობისა და კონტროლის უქონლობა იმას იწვევს, რომ ასპირანტთა დიდი უმეტესობა არ იცავს დანიშნულ ვადას და დიდი დაგვიანებით იცავს დისერტაციას.

ზოგიერთი მეცნიერი ჩამოშორდა ასპირანტებთან მუშაობას და ნაკლებად ზრუნავს მეცნიერთა კადრების მომზადებაზე, არა გრძნობს პასუხისმგებლობას შემცვლელთა აღზრდისათვის, მეცნიერების იმ დარგის განვითარებისათვის, რომელსაც მათ სიცოცხლე შეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭირეს. მეორე მხრივ, არანორმალურია ისეთი მდგომარეობაც, როდესაც ერთ კაცს, მისი გადატვირთულობის მიუხედავად, მიამაგრებენ ხოლმე ბევრ ასპირანტს.

ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც სამეცნიერო ხარისხის მაძიებლები სადისერტაციო საძუშაოთა თემებად ირჩევენ ისეთ საკითხებს, რომლებსაც არა აქვთ არსებითი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა.

საკმაოდ არ არის გამოყენებული მიზნობრივი ასპირანტურა.

მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარების ამოცანები მოითხოვენ მეცნიერთა კადრების შერჩევისა და მომზადების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. მეტად ნელა წარმოება ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკების დაწინაურება დამოუკიდებელ სამუშაოსა და ხელმძღვანელ სამეცნიერო-ორგანიზაციულ თანამდებობებზე. ყოველთვის როდი ხდება უფრო ნიჭიერი მუშაკებით იმ პირთა დროულად შეცვლა, რომლებმაც ვერ გამოიჩინეს თავი სამეცნიერო სამუშაოზე.

„მეცნიერთა კადრების შერჩევისა და მომზადების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 12 მაისის № 441 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები და უმაღლესი სასწავლებლები აქვთ, მიიღონ განუხრელ სახელმძღვანელოდ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცნტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 12 მაისის № 441 დადგენილება. განახორციელონ ღონისძიებანი, რათა შემოღებულ იქნას სტაჟირორ მკვლევართა, უფროს მეცნიერ თანამშრომელ-კონსულტანტთა თანამდებობანი, აგრეთვე მოწესრიგდეს სამეცნიერო-ორგანიზაციული ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, სამინისტროებისა და უწყებების სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან, რესპუბლიკის იმ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, რომლებსაც სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები და უმაღლესი სასწავლებლები აქვთ, შეიმუშაოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შესაბამისად რესპუბლიკაში მეცნიერთა კადრების მომზადების ყოველწლიური და პერსპექტიული გეგმები, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ დარგებს.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკის იმ სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები და უმაღლესი სასწავლებლები აქვთ:

ა) გააძლიერონ მუშაობა მეცნიერთა კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ უზრუნველყოფილ იქნან მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი დარგები მეცნიერთა კადრებით;

ბ) მაქსიმალურად განტვირთონ წამყვანი მეცნიერი მუშაკები სამეცნიერო-ორგანიზაციული და საზოგადოებრივი დავალებისაგან, რომლებიც ხელს უშლიან მათ ნაყოფიერად იმუშაონ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო პრობლემებზე და ახალგაზრდა მეცნიერული კადრების აღზრდის დარგში;

გ) უზრუნველყონ წამყვანი მეცნიერი მუშაკების თანაბარი დატვირთვა ასპირანტებისადმი ხელმძღვანელობის ხაზით, ამასთან არ დაუშვან ასპირანტთა დიდი რაოდენობის მიმაგრება ერთ მეცნიერ ხელმძღვანელზე;

დ) მიიღონ საჭირო ზომები, რათა დროზე გამოქვეყნდეს ასპირანტთა და ხარისხის მაძიებელთა სტატიები, რომლებიც შეიცავენ მათი სადისერტაციო ნაშრომების მეცნიერული შედეგების გადმოცემას; გამოყონ ამ მიზნისათვის ნაშრომებსა და კრებულებში განსაზღვრული რაოდენობის ნაბეჭდი ფურცლები, აგრეთვე გამოსცენ სპეციალური თემატური კრებულები;

ე) უფრო ფართოდ შემოიღონ ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელთა გაგზავნა სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში.

4. დაევალოთ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების დირექტორებსა და უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს:

ა) უზრუნველყონ ასპირანტურაში ჩასარიცხავ პირთა გულმოდგინე შერჩევა, გააძლიერონ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების განყოფილებებისა და უმაღლეს სასწავლებელთა კათედრების მეცნიერული კავშირი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, განათლების, კულტურის, ხელოვნებისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებთან, აგრეთვე სტუდენტებთან, რომლებმაც გამოიჩინეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ნიჭი;

ბ) ყოველგვარი დახმარება გაუწიონ მეცნიერ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომლებიც ეწევიან თავიანთი სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლებას;

გ) ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა და ასპირანტთა ძირითადი ყურადღება მიაქციონ მეცნიერული გამოკვლევების შესრულებას, რომელთა ლოგიკური დამთავრება უნდა გახდეს დისერტაციები;

დ) გააძლიერონ ასპირანტთა და სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთა მეცნიერი ხელმძღვანელების, აგრეთვე განყოფილებებისა და კათედრების ხელმძღვანელების როლი და პასუხისმგებლობა ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა მომზადებისათვის.

სისტემატურად მოისმინონ წამყვან მეცნიერთა ანგარიშები მეცნიერთა კადრების მომზადების დარგში მათი მუშაობის შესახებ; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დისერტანტების მიერ დამუშავებული სამეცნიერო თემების მეცნიერული ღირებულების საკითხს, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ სადისერტაციო ნაშრომები უნდა შეეხებოდეს თეორიულად და პრაქტიკულად აქტუალურ საკითხებს.

შეუქმნან ასპირანტებსა და სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებს ყოველგვარი პირობები, რათა დაწესებულ ვადებში დაამთავრონ სადისერტაციო ნაშრომები და დაიცვან დისერტაციები.

ასპირანტთა სადისერტაციო თემები უნდა წარმოადგენდნენ კათედრებისა და განყოფილებების პრობლემატიკის ორგანულ ნაწილს და შეტანილ უნდა იქნან მათი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმებში;

ე) სისტემატურად განიხილონ სამეცნიერო საბჭოების სხდომებზე იმ სადისერტაციო ნაშრომების თემები, რომლებსაც ასპირანტები და სამეცნიერო ხარისხის მაძიებლები ასრულებენ, ამასთან უზრუნველყონ საჭირო მომთხოვნელობა შესრულებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა შეფასების დროს.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს დახმარება გაუწიონ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებს იმ პირთა შერჩევაში, რომლებმაც გამოიჩინეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ნიჭი; შეუქმნან მუშაობის საჭირო პირობები ასპირანტებს, რომლებიც გადიან კურსს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ; აგრეთვე სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებს; მიიღონ ზომები შესრულებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა წარმოებაში დანერგვისათვის.

6. დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობის დაგეგმვისას გაითვალისწინოს საერთო საცხოვრებლის ერთი კორპუსის მშენებლობა ასპირანტთა დასაბინავებლად.

7. უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მეცნიერთა კადრების მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ აღნიშნული საკითხი წარმოადგენს პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს უბანს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 22 მაისი, № 356

49 კოლმეურნეობებში კოლმეურნეთა შრომის ყოველთვიური ფულადი გარანტირებული ანაზღაურების და შიგასამეურნეო ანგარიშსწორების დანერგვის ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლმეურნეთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მატერიალური დაინტერესების შემდგომ გადიდებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის 150 კოლმეურნეობაში განხორციელდა შრომის ფულადი გარანტირებული ანაზღაურება და 19 კოლმეურნეობაში— შიგასამეურნეო ანგარიშსწორება საწარმოო ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმებში. ამ კოლმეურნეობებში ზუსტდება და სრულყოფილი ხდება ოდენობა და წესი კოლმეურნეებისათვის შრომის დამატებითი საზღაურის მიცემისა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამის შედეგად ამ კოლმეურნეობებმა მიაღწიეს კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების მნიშვნელოვან გადიდებას და თავიანთი საზოგადოებრივი მეურნეობის დონის ამაღლებას.

ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობაში შრომის ყოველთვიური ფულადი გარანტირებული ანაზღაურების შემოღების შემდეგ გადიდდა იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ მეურნეობაში; ამაღლდა მწვანე ჩაის ფოთლის მოსავლიანობა და გაიზარდა საფურაჟე ძროხის წველადობა და კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი, აგრეთვე კოლმეურნეთა საშუალო თვიური გამომუშავება.

კარგ შედეგებს მიაღწია თელავის რაიონის სოფელ სანიორის კოლმეურნეობამ, რომელიც გადავიდა შრომის ყოველთვიურ გარანტირებულ ანაზღაურებაზე; გადიდდა ყურძნისა და მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა, აგრეთვე კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება; ეს კოლმეურნეობა ყოველწლიურად ქმნის ფულადი შემოსავლისაგან გარდამავალ ფონდებს კოლმეურნეთა ავანსირებისათვის, მან სავსებით აღმოფხვრა დებიტორული და საკრედიტორო დავალიანება და თავის საზოგადოებრივ მეურნეობას უძღვება საკუთარი საშუალებებით სახელმწიფო კრედიტების დაუხმარებლად, სრულიად რენტაბელურად.

შრომის ყოველთვიური გარანტირებული ანაზღაურების დანერგვით კარგ შედეგებს მიაღწიეს ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველომ“, ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათის, გალის რაიონის სოფელ ოქუმის კოლმეურნეობებმა და თეთრიწყაროს რაიონის ზოგიერთმა კოლმეურნეობამ.

კიდევ უფრო გაიზარდა კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება, იმ კოლმეურნეობებში, სადაც დანერგეს შიგასამეურნეო ანგარიშსწორება ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმებში, და სადაც კოლმეურნეებს, გარდა შრომის დამატებითი საზღაურისა, აძლევენ ფულად წახალისებას ეკონომიის იმ ნაწილის სახით, რაც

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებულია პროდუქციის გეგმური თვითღირებულების შემცირებისაგან ან იმ საწარმოო დანახარჯების ეკონომიის თანხიდან, რომლებიც დაწესებულია თვითეული ბრიგადისა და მეცხოველეობის ფერმისათვის.

მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის კოლმეურნეობაში, რომელმაც ბრიგადებში დანერგა სამეურნეო ანგარიში, პროდუქციის თვითღირებულება მარტო გასულ წელს 150 ათასი მანეთით გადიდდა.

შიგასამეურნეო ანგარიშის დანერგვის საფუძველზე კარგ შედეგებს მიაღწიეს მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის, ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათის, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარის, ქარსუბნისა და სხვა კოლმეურნეობებმა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ მიუხედავად მოწინავე კოლმეურნეობათა მუშაობის დადებითი გამოცდილებისა, რომელთაც დანერგეს შრომის ანაზღაურების ახალი, პროგრესული ფორმები, რაც გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამით, ეს გამოცდილება სუსტად ვრცელდება რესპუბლიკის სხვა კოლმეურნეობებში, მაშინ როდესაც იგი წარმოადგენს ყველა კოლმეურნეობის ეკონომიკის განმტკიცების მძლავრ ბერკეტს.

მაგრამ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ შეუძლებელია ამ ღონისძიების ერთსა და იმავე დროს განხორციელება რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობაში. იგი უწინარეს ყოვლისა გამოყენებულ უნდა იქნას ისეთ კოლმეურნეობებში, რომლებშიც დიდია წარმოების საქონლიანობა და საგრძნობია ფულადი ნაწილის ხვედრითი წონა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებაში, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა ყოველთვიურად შექმნან და გააფორმონ გარდამავალი ფულადი ფონდები კოლმეურნეთა შრომის ასანაზღაურებლად, აგრეთვე კარგად მოგვარებული აღრიცხვა და დაგეგმვა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეთა შრომის ფულადი ანაზღაურება დღემდე არ არის გამოყენებული გორის, გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, სოხუმის, ზესტაფონის, სამტრედიის, წყალტუბოს და ზოგიერთი სხვა რაიონის არც ერთ კოლმეურნეობაში, რომელთაც მოეპოვებათ საჭირო პირობები შრომის ფულადი ანაზღაურების დასანერგავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი მდგომარეობის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები ჯერ კიდევ არ ჩადგომიან სათავეში ამ მუშაობას, ხოლო ბევრი კოლმეურნეობის თავმჯდომარე არ იჩენს საკანონმდო ინიციატივას, რათა სხვა კოლმეურნეობებში გადაიტანოს კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების მოწინავე კოლმეურნეობათა პროგრესული გამოცდილება და არ უწევენ მათ საჭირო დახმარებას ამ საქმეში.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში, რომელიც გადავიდა შრომის ყოველთვიურ ფულად გარანტირებულ ანაზღაურებაზე, ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებების ავტორიტეტი ხშირად იბღალება იმის გამო, რომ სახელმწიფო ბანკის განყოფილებები დროზე ვერ აძლევენ კოლმეურნეობებს მათი მიმდინარე ანგარიშებიდან ფულად სახსრებს კოლმეურნეთა შრომის ყოველთვიური ანაზღაურებისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო კომიტეტების მდივნებს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტორგებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების უფროსებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს:

ა) სათავეში ჩაუდგნენ მუშაობას, რათა ფართოდ დაინერგოს კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების პროგრესული ფორმები — კოლმეურნეთა შრომის ყოველთვიური ფულადი გარანტირებული ანაზღაურება და შიგასამეურნეო ანგარიში;

ბ) ჩაატარონ კოლმეურნეობებში გულმოდგინე მოსამზადებელი მუშაობა, რათა შეიქმნას პირობები შრომის ყოველთვიურ ფულად გარანტირებულ ანაზღაურებაზე გადასასვლელად, რისთვისაც 1962 წლიდან, ფულადი შემოსავლიდან ყოველწლიურად გამოყონ კოლმეურნეთა შრომის ფულადი ანაზღაურების ფონდი შემდგომი წლის პირველ თვეებში იმ ანგარიშით, რომ უახლოეს წლებში ფულად ანაზღაურებაზე გადაყვანილ იქნან, ზონალურ თავისებურებათა გათვალისწინებით, უფრო მძლავრი კოლმეურნეობები, ხოლო შემდგომ წლებში — ყველა კოლმეურნეობა.

ამ მიზნით, ზონალურ თავისებურებათა გათვალისწინებით, დანერგონ თვითეული ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს მი-

ხედვით, უწინარეს ყოვლისა მოწინავე კოლმეურნეობებში, შრომის ყოველთვიური ფულადი გარანტირებული ანაზღაურება და შიგასამეურნეო ანგარიში იმ ვარაუდით, რომ მათი გამოცდილების საფუძველზე გაადვილდეს ამ პროგრესულ ღონისძიებათა დანერგვა სხვა კოლმეურნეობებში;

ᲒᲐ) შეისწავლონ თვითეული კოლმეურნეობის მიხედვით შემოსავლის განაწილების და კოლმეურნეთა ყოველთვიური ავანსირების მდგომარეობა და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ზედმეტობა სახსრების ხარჯვაში კოლმეურნეთა საერთო კრებების მიერ დამტკიცებულ საწარმოო-საფინანსო გეგმებთან შედარებით, რათა კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებულ შრომადღეებზე ნაწილდებოდეს წლიური ფულადი შემოსავლის არა ნაკლებ 40-50 პროცენტისა.

2. დაევალოს სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას უზრუნველყოს, რომ შეუფერხებლივ ყოველთვიურად მიეცეთ კოლმეურნეობებს სახსრები მათი მიმდინარე ანგარიშებიდან, დამტკიცებული საკასო გეგმის თანახმად, კოლმეურნეთა შრომის ასანაზღაურებლად.

3. რჩევა მიეცეთ მსხვილ კოლმეურნეობებსა და შრომის ფულად ანაზღაურებაზე გადასულ კოლმეურნეობებს იყოლიონ ეკონომისტი ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შტატის გაუდიდებლად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს:

ᲐᲐ) შეიმუშაოს და მისცეს კოლმეურნეობებს რეკომენდაციები, რათა დანერგონ შრომის ყოველთვიური ფულადი გარანტირებული ანაზღაურება და შიგასამეურნეო ანგარიში საწარმოო ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმებში;

ᲑᲑ) შეიმუშაოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ შიგასამეურნეო ანგარიშის დანერგვას 1963 წლიდან რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებთან ერთად, მოაწყონ გამოცდილების ფართო გაზიარება და სისტემატური ინსტრუქტაჟი გაუწიონ შრომის ფულად ანაზღაურებაზე გადასულ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, ეკონომისტებსა და ბუღალტრებს კოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობებში შრომის ფულადი ანაზღაურებისა და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შიგასამეურნეო ანგარიშის საკითხებზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	გ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წ. 5 ივნისი, № 403

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილება

50 **საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშების დაწესების შესახებ, რომლებიც მიენიჭებათ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ძირითად სახეობათა წარმოებისა და დამზადების დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის**

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფსაბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები, რომლებიც მიენიჭებათ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს სოფლის მეურნეობის შემდეგი პროდუქტების წარმოებისა და დამზადების დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის:

ა) ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს, სიმინდის და თუთის აბრეშუმის ჭიის პარკისა — თითო წითელი დროშა. ჩაისათვის წითელი დროშა მიენიჭება წელიწადში ორჯერ — წლის პირველი ნახევრის შედეგებისა და სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით;

ბ) მეცხოველეობის პროდუქტებისა — ორი წითელი დროშა: ერთი ახალციხის, თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, დუშეთისა და გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოებისათვის, მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოსათვის; ერთი — ზესტაფონის, ამბროლაურის, წყალტუბოს, სამტრედიის, მახარაძის, ცხაკაიას, ზუგდიდის, გუდაუთის, სოხუმის, ქობულეთისა და შუახევის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოებისათვის.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშების მინიჭება წარმოებს წლიური მაჩვენებლების შედეგების მიხედვით, მაგრამ არა უგვიანეს მომდევნო წლის მარტისა.

3. დამტკიცდეს ამ დადგენილებასთან დართული პირობები, რომელთა მიხედვითაც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭებათ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს, მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს, სიმინდის, მეცხოველეობის პროდუქტებისა და თუთის აბრეშუმის ჭიის პარკის წარმოებისა და დამზადების დარგში საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის.

4. დაეკისროთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს წინადადებათა წარმოდგენა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში იმის შესახებ, რომ მიენიჭოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს, მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურ-

ნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის, ამ დადგენილებით დამტკიცებული პირობების შესაბამისად.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობამ უზრუნველყოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშების დამზადება.

6. ნება დაერთოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს, მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოს დააწესონ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროსთან შეთანხმებით გარდამავალი წითელი დროშები, რომლებიც მიენიჭებათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ძირითად სახეობათა წარმოებისა და დამზადების დარგში მაღალი მაჩვენებლებისათვის.

7. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინათ მიღებული დადგენილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**გ. ჯავახიშვილი.**	**მ. ლელაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 8 მაისი, № 313

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს 1962 წლის 8 მაისის № 313 დადგენილებით

პირობები,

რომელთა მიხედვითაც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს, მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოს მიენიჭებათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები სოფლის მეურნეობის პროდუქტების ძირითად სახეობათა წარმოებისა და დამზადების დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭებათ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს, მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოს, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს ჩაის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს, სიმინდის წარმოებისა და დამზადების, აგრეთვე მეცხოველეობისა და მეაბრეშუმეობის დარგებში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭებათ იმათ, ვინც მიაღწია:

ჩაის ხაზით

უმაღლეს მაჩვენებლებს ერთ ჰექტარზე ხარისხოვანი მწვანე ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდების, საერთო მოსავლის ზრდისა და სახელმწიფოსათვის ხარისხის მიხედვით მიყიდვის გეგმის შესრულების საქმეში, ამასთან მიღწეულ უნდა იქნას უმაღლესი მაჩვენებლები ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმისა და პლანტაციების რემონტის გეგმის შესრულებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მევენახეობის ხაზით

უმაღლეს მაჩვენებლებს ერთ ჰექტარზე ყურძნის საშუალო მოსავლიანობის, საერთო მოსავლის ზრდის, ვენახების გაშენებისა და რემონტის, საძირე ვაზის სადედეების გაშენების გეგმის შესრულების, სტანდარტული ნამყენი ნერგის მაღალი გამოსავლიანობის, სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმის შესრულების საქმეში.

მეხილეობის ხაზით

უმაღლეს მაჩვენებლებს ერთ ჰექტარზე ხილის საშუალო მოსავლიანობის, საერთო მოსავლის ზრდის, ბაღების გაშენებისა და რემონტის გეგმის შესრულების და სახელმწიფოსათვის სტანდარტული ხილის მიყიდვის გეგმის შესრულების საქმეში.

მეთამბაქოეობის ხაზით

უმაღლეს მაჩვენებლებს სახელმწიფოსათვის თამბაქოს ნედლეულის მიყიდვის გეგმის შესრულების და გაყიდულ პროდუქციაში ხარისხოვანი ნედლეულის მაღალი პროცენტული თანაფარდობის დაცვის საქმეში.

სიმინდის ხაზით

უმაღლეს მაჩვენებლებს ერთ ჰექტარზე სიმინდის მარცვლის მოსავლიანობის გადიდების, სიმინდის საერთო ნათესი ფართობების გადიდების, მარცვლის საერთო მოსავლის ზრდის, სახელმწიფოსათვის სიმინდის მარცვლის მიყიდვის და სიმინდის თესლის მოთხოვნილების ოდენობით გამოყოფის გეგმის შესრულების საქმეში.

მეცხოველეობის ხაზით

უმაღლეს მაჩვენებლებს ხორცის, რძისა და კვერცხის წარმოების გადიდების საქმეში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდის მაჩვენებლების გათვალისწინებით; უმაღლეს მაჩვენებლებს სახნავი მიწის და სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 100 ჰექტარზე ამ პროდუქტების წარმოების საქმეში, 100 სულ დედა პირუტყვზე რაც შეიძლება მეტი ნამატის მიღების და სულადობის უკეთ შენარჩუნების მაჩვენებლებს; ყველა სახეობის პირუტყვის სულადობის ზრდის საუკეთესო მაჩვენებლებს; სახელმწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის მიყიდვის გეგმის შესრულების, სახელმწიფოსათვის მიყიდული პირუტყვის სიმსუქნის, საკვების (უხეში, წვნიანი და კონცენტრირებული) დამზადების გეგმის შესრულების საუკეთესო მაჩვენებლებს.

მეაბრეშუმეობის ხაზით

უმაღლეს მაჩვენებლებს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის ჭიის პარკის მიყიდვის წლიური გეგმის შესრულებაში, თუ მაღალი იყო პირველი გამოკვების პარკის ხვედრითი წონა; სახელმწიფოსათვის პირველი ორი ხარისხის პარკის მიყიდვის გეგმის შესრულების, თუთის ხეების გაშენების გეგმის შესრულების საქმეში.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოებისათვის, მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოსათვის გარდამავალი წითელი დროშების მინიჭების დროს მხედველობაში იქნას მიღებული აგრეთვე სახელმწიფოსათვის ყველა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმების შესრულება მათ მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს 1962 წლის 8 მაისის № 313 დადგენილების დანართი

ნ უ ს ხ ა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა, რომლებიც გაუქმებულია იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭომ მიიღეს დადგენილება იმის შესახებ, რომ დაწესდეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები, რომლებიც მიენიჭებათ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ძირითად სახეობათა წარმოებისა და დამზადების საქმეში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის

1. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 მარტის № 165 დადგენილება „ჩაის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს წარმოების, მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების დაწესების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 4 მაისის № 290 დადგენილება „იმ პირობების დამტკიცების შესახებ, რომელთა მიხედვითაც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭებათ რაიონებს ჩაის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს წარმოების, მეცხოველეობის, მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის“.

3. მუხ. 2 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 5 აგვისტოს № 520 დადგენილებისა „იმ რაიონებისათვის გარდამავალი წითელი დროშებისა და ფულადი პრემიების მინიჭების შესახებ, რომელთაც

1958 წლის პირველ ნახევარში მიაღწიეს საუკეთესო მაჩვენებლებს ჩაის წარმოებისა და მეცხოველეობის დარგში".

4. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 25 ივლისის № 624 დადგენილება „გარდამავალი წითელი დროშების მიკუთვნების იმ პირობებში ცვლილებათა შეტანის შესახებ, რომლებიც დაწესებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგებისათვის".

5. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 16 იანვრის № 63 დადგენილება „გარდამავალი წითელი დროშების მიკუთვნების იმ პირობებში ცვლილებათა შეტანის შესახებ, რომლებიც დაწესებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მეჩაიეობის ხაზით".

6. მუხ. 8 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 22 თებერვლის № 91 დადგენილებისა „1961 წელს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში სიმინდის მწიფე მარცვლის უხვი მოსავლის მიღების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

51 სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელების გამოსაღების გადახდისაგან ინვალიდთა განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

განთავისუფლებულ იქნან 1962 წლის 1 აპრილიდან სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელების გამოსაღების გადახდისაგან ქალაქებსა და საქალაქო ტიპის დაბებში მცხოვრები ინვალიდი მოქალაქენი, ვისაც ჰყავთ ხელით სამართავი ავტომობილები, რომლებსაც ისინი პირადი საჭიროებისათვის იყენებენ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 4 მაისი, № 285

ეროვნული ბიბლიოთეკა

52 საქართველოს სსრ „მმაჩის საქალაქო და რაიონული ბიუროს მიერ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ“ და „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მდივნების მიერ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ“ ინსტრუქციებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

I. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 აგვისტოს № 558 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ „ქალაქებისა და რაიონების მმაჩის ბიუროებში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის“ ინსტრუქციაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. 71 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„71. ქორწინების რეგისტრაცია, როგორც წესი, წარმოებს მექორწინე წყვილის ან ერთ-ერთი მათგანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

შენიშვნა: ქორწინების რეგისტრაცია, გამონაკლის შემთხვევაში, შეიძლება მექორწინეთა არასაცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო ან რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოადგილის ნებართვით, ხოლო გემზე — მგზავრობის დროს, არმიაში — ლაშქრობის დროს, თავისუფლების აღკვეთის ადგილას და აგრეთვე სახლში — ავადმყოფობის დროს, საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 141 მუხლის შესაბამისად“.

2. 76 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა:** მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ან თავმჯდომარის მოადგილეს უფლება აქვს, გამონაკლის შემთხვევაში, ქორწინების რეგისტრაციისათვის ამ მუხლით დაწესებული ვადა შეამციროს“.

3. 91 მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „კოლმეურნის წიგნაკი“ და მის ნაცვლად ჩაიწეროს „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ცნობა ვინაობის შესახებ“.

4. 196 მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „მმაჩის ბიუროს“ და მის ნაცვლად ჩაიწეროს „იურიდიული კომისიის თავმჯდომარის“.

5. 206 მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროს“ და მის ნაცვლად ჩაიწეროს „იურიდიულ კომისიას“.

6. 210 მუხლში სიტყვების „განხილვასთან დაკავშირებით“ შემდეგ ჩაიწეროს „ან სასწავლებელში წარსადგენად“.

7. 212 მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროს“ და მის ნაცვლად ჩაიწეროს „იურიდიულ კომისიას“.

II. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 აგვისტოს № 558 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მდივნების მიერ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის“ ინსტრუქციაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. 68 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„68 ქორწინების რეგისტრაცია, როგორც წესი, წარმოებს მექორწინე წყვილის ან ერთ-ერთი მათგანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

შენიშვნა: ქორწინების რეგისტრაცია, გამონაკლის შემთხვევაში, შეიძლება მექორწინეთა არასაცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო ან რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოადგილის ნებართვით, ხოლო გემზე — მგზავრობის დროს, არმიაში — ლაშქრობის დროს, თავისუფლების აღკვეთის ადგილას და აგრეთვე სახლში — ავადმყოფობის დროს, საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 141 მუხლის შესაბამისად“.

2. 73 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა:** მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ან თავმჯდომარის მოადგილეს უფლება აქვს, გამონაკლის შემთხვევაში, ქორწინების რეგისტრაციისათვის ამ მუხლით დაწესებული ვადა შეამციროს“.

3. 88 მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „კოლმეურნის წიგნაკი“ და მის ნაცვლად ჩაიწეროს „მშრომელთა დეპუტატების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო (სადაბო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ცნობა ვინაობის შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. პირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 4 მაისი, № 286

53 იმ ფულადი ჯიშობრივი დანამატების ოდენობის შესახებ, რაც კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს, სასელექციო, საცდელ სადგურებსა და სხვა მეურნეობებს ეძლევათ სახელმწიფოსათვის მისაყიდი (ჩასაბარებელი) სიმინდის ჰიბრიდულ და ჯიშიან თესლში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს 1962 წლის 1 ივლისიდან იმ ფულადი ჯიშობრივი დანამატების ოდენობა, რაც კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს, სასელექციო, საცდელ სადგურებსა და სხვა მეურნეობებს ეძლევათ სახელმწიფოსათვის მისაყიდი (ჩასაბარებელი) სიმინდის ჰიბრიდულ და ჯიშობრივ თესლში, დანართის თანახმად.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ ჩაატაროს სიმინდის ჰიბრიდული და ჯიშიანი თესლის ნაშთების გადაფასება პურისმიმღებ საწარმოებში 1962 წლის 1 ივლისისათვის იმ ახალი ფულადი ჯიშობრივი დანამატების გათვალისწინებით, რაც დაწესებულია ამ დადგენილებით.

3. მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ნება ეძლევათ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით მიაკუთვნონ სიმინდის ახლად გამოყვანილი დარაიონებული ჰიბრიდები გათვალისწინებული ფულადი ჯიშობრივი დანამატების გაცემის მხრივ შესაბამის ჯგუფებს, ამ ჰიბრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დების სამეურნეო ღირებულებისა და მისი წარმოების პირობების მიხედვით.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1962 წლის 1 ივლისიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 ივლისის № 446 დადგენილების დანართი № 9 იმ ფულადი ჯიშობრივი დანამატების ოდენობის ნაწილში, რომლებიც გაიცემა ამ დადგენილებით გათვალისწინებულ სიმინდის ჰიბრიდულ და ჯიშიან თესლში, აგრეთვე მუხ. 4 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 ივნისის № 417 დადგენილებისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 4 მაისის № 287
დადგენილების დანართი

ოდენობა

ფულადი ჯიშობრივი დანამატებისა, რაც მიეცემათ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს, სასელექციო, საცდელ სადგურებს და სხვა მეურნეობებს სახელმწიფოსათვის მისაყიდი (ჩასაბარებელი) სიმინდის ჰიბრიდულ და ჯიშიან თესლში

	ჯიშობრივი სიწმინდის კატეგორია	სათესლე სტანდარტის კლასი	შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასების ჯიშობრივი დანამატი პროცენტულად
თვითდამტვერილი ხაზების სუპერელიტისა და ელიტის თესლი	—	—	550
თვითდამტვერილი ხაზების I და II რეპროდუქციის თესლი	—	1 11 111	500 450 400
პირველი თაობის უბრალო ჰიბრიდების თესლი	—	1 11 111	500 450 400
მეორე თაობის უბრალო ჰიბრიდების თესლი	—	1 11 111	130 120 110
პირველი თაობის ჰიბრიდების თესლი ვირ-42. კრასნოდარის 4. კრასნოდარის 5	— —	1 11 111	250 200 170
კოლექტიური	—	1 11 111	170 150 130
დარაიონებული ჯიშების და ჰიბრიდული პოპულაციის თესლი:			
სუპერელიტის	—	—	250
ელიტის	—	—	200
I და II რეპროდუქციის	1—11	1 11 111	90 75 60

	ჯიშობრივი სიწმინდის კატეგორია	საესლე სტანდა-რტის კლასი	შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასების ჯიშობრივი დანამატი პროცენტულად
დეფიციტური პერსპექტიული ჯიშების და ჰიბრიდული პოპულაციის თესლი:			
სუპერელიტის	—	—	350
ელიტის	—	—	300
I, II და შემდგომი რეპროდუქციის .	I—II	I II III	200 175 150

შენიშვნა: სიმინდის დარაიონებული ჯიშების და ჰიბრიდული პოპულაციის III და შემდგომი რეპროდუქციის თესლში ჯიშობრივი დანამატი გაიცემა 20 პროცენტით ნაკლები, ვიდრე I და II რეპროდუქციის თესლში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

54 საქართველოს სსრ სახელმწიფო ტყის ფონდის სათიბ-საძოვარი ფართობების განაწილებისა და გამოყენების წესებში ნაწილობრივ ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ სახელმწიფო ტყის ფონდის სათიბ-საძოვარი ფართობების გამოყენების საქმეში არსებული სერიოზული დარღვევებისა და უწესრიგობის ლიკვიდაციისა და ამ ფართობების რაციონალურად გამოყენების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ 1962 წლიდან საქართველოს სსრ სახელმწიფო ტყის ფონდის სათიბ-საძოვარი ფართობების მომხმარებლებზე განაწილებას ადგენენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები სათანადო რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან და სატყეო მეურნეობებთან შეთანხმებით და ამ განაწილებას ამტკიცებენ შესაბამისი რაისაბჭოს აღმასკომები.

2. დაევალოს სატყეო მეურნეობების დირექტორებს მთელი სათიბ-საძოვარი ფართობების ფონდი, თივის თიბვის ან პირუტყვის ძოვების დაწყებამდე ორი თვით ადრე, გასანაწილებლად წარუდგინონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების შესაბამის რაიაღმასკომებს.

3. რაიაღმასკომები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები და სატყეო მეურნეობები სატყეო მეურნეობებიდან სათიბ-საძოვარი ფართობების ფონდის მიღების შემდეგ 15 დღის ვადაში ანაწილებენ ამ ფონდს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის, ამასთან ითვალისწინებენ სატყეო მეურნეობებისა და სატყეო-სამრეწველო მეურნეობების მოთხოვნილებას მეურნეობებისათვის აუცილებელი პირუტყვის საჭიროებისათვის, აგრეთვე გამოუყოფენ სათიბ ფართობებს დადგენილი ნორმებით სატყეო მეურნეობების იმ ნომენკლატურულ მუშაკებს, რომელთაც საკუთარ სარგებლობაში ჰყავთ პირუტყვი.

სათიბ-საძოვარი ფართობების მომხმარებელთა შორის განაწილება, თივის თიბვის ან პირუტყვის ძოვების დაწყებამდე არა უგვიანეს 10 დღისა, ეცნობება შესაბამის სატყეო მეურნეობას არაპირდაპირი სარგებლობის ორდერების (ბილეთების) გამოსაწერად.

4. დაეკისროს სატყეო მეურნეობათა დირექტორებს პერსონალური პასუხისმგებლობა იმ ცნობების დროზე შედგენისა, სისრუ-

ლისა და სიზუსტისათვის, რასაც ისინი სათიბი და საძოვარი ფართობების შესახებ წარადგენენ გასანაწილებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 12 მაისი, № 309

55 საპენსიო უზრუნველყოფის საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის მიერ მიღებული ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 29 ივნისის № 879, 1957 წლის 29 ივნისის № 808 და 1960 წლის 16 აპრილის № 405 დადგენილებების შესაბამისად, ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის შემდეგი დადგენილებანი:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 22 ივლისის № 544 დადგენილება „ყოფილი სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისათვის პენსიების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 24 აგვისტოს № 955 დადგენილება „მესამე ჯგუფის ინვალიდი პენსიონერებისათვის პენსიების მიცემის წესის შეცვლის შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 15 ნოემბრის № 1549 დადგენილება „ექიმთა და მედიცინის სხვა მუშაკთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 23 ოქტომბრის № 1511 დადგენილება „სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილების გამგეებისა და ინსტრუქტორებისათვის, რაიონული და საქალაქო მეთოდური კაბინეტების გამგეებისა და მეთოდისტებისათვის წელთა ნამსახურობის პენსიების დანიშვნის წესის შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 2 მარტის № 345 დადგენილება „სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამუ-

შაოდ გაგზავნილი ახალგაზრდა სპეციალისტი ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 19 თებერვლის № 526 დადგენილების დაგზავნის თაობაზე“.

II. ეცნობოთ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის და ფინანსთა სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გააუქმა სსრ კავშირის მთავრობის შემდეგი დადგენილებანი:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 9 ივლისის № 1516 დადგენილება „ყოფილი სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისათვის პენსიების შესახებ“.

2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 9 აგვისტოს № 3011 დადგენილება „მესამე ჯგუფის ინვალიდ პენსიონერებისათვის პენსიების მიცემის წესის შეცვლის შესახებ“.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 19 თებერვლის № 526 დადგენილება „სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამუშაოზე გაგზავნილი ახალგაზრდა სპეციალისტი ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების შესახებ“.

4. მუხლები 2 და 12 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 15 მაისის № 910 დადგენილებისა „სკკპ იმ ძველი წევრების — პენსიონერების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ, რომლებიც საკავშირო ან რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიებს იღებენ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 18 მაისი, № 325

56 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 1 თებერვლის № 105 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა გაუქმების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1962 წლის 1 თებერვალს მიღო დადგენილება № 105 „საწარმოოტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების დებულების და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების დებულების დამტკიცებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 12 თებერვლის № 157 დადგენილება „1945 წლის სამეურნეო ხელშეკრულებათა შესახებ“.

2. მუხლი 5 საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 25 ოქტომბრის № 1367 დადგენილებისა „მატყლის სახელმწიფო შესყიდვის 1945 წლის IV კვარტალის გეგმის შესახებ“.

3. „მუშათა მომარაგების განყოფილებების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 მარტის № 188 დადგენილების მე-3 მუხლის ქვეპუნქტი „ბ“.

4. მუხლები 1 და 2 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 9 ოქტომბრის № 1155 დადგენილებისა „ხის დასაბრუნებელი ტარის შეგროვების გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

5. მუხლი 8 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 21 დეკემბრის № 1508 დადგენილებისა „ვაჭრობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

6. „1950 წელს სპეცტანსაცმლის შეკერვისა და სამინისტროების და უწყებებისათვის მიწოდების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 6 მარტის № 267 დადგენილების მე-3 მუხლის მეორე აბზაცი.

7. „1950 წელს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოების მიერ აგურის, კრამიტის და ცალობრივი ქვის წარმოების გეგმის შესრულების ღონისძიებათა და მათი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 16 მაისის № 593 დადგენილების მე-3 მუხლის ქვეპუნქტი „დ“.

8. „ცალობრივი პურის გამომუშავებისა და გაყიდვის გაფართოების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 26 დეკემბრის № 1853 დადგენილების 1 მუხლის ქვეპუნქტი „დ“.

9. „1951 წელს სპეცტანსაცმლის შეკერვისა და სამინისტროებისა და უწყებებისათვის მიწოდების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 22 მარტის № 272 დადგენილების მე-3 მუხლის მეორე აბზაცი.

10. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების დამზადების, გადამუშავების და გამოყენების გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 12 ივნისის № 727 დადგენილების მე-3 მუხლის ქვეპუნქტი „ზ“.

11. „1952 წელს თეთრეულის, ლოგინის მოწყობილობის, ტანსაცმლისა და სპეცტანსაცმლის შეკერვის და სამინისტროებისა და უწყებებისათვის მიწოდების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 2 თებერვლის № 140 დადგენილების მე-3 მუხლი.

12. „ფეხსაცმლის ვაჭრობის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 4 აგვისტოს № 1160 დადგენილების მე-6 მუხლის ქვეპუნქტი „ა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 18 მაისი, № 326

57 მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და სადაბო საბჭოების აღმასკომებთან არსებული აქტივისტ-პენსიონერთა საბჭოების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის მიერ წარმოდგენილი დებულება

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და სადაბო საბჭოების აღმასკომებთან არსებული აქტივისტ-პენსიონერთა საბჭოების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 18 მაისი, № 327

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 18 მაისის № 327 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და სადაბო საბჭოების აღმასკომებთან არსებული აქტივისტ-პენსიონერთა საბჭოების შესახებ

1. აქტივისტ-პენსიონერთა საბჭოები წარმოადგენენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც შეიქმნებიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და სადაბო აღმასრულებელ კომიტეტებთან ნებაყოფლობით საფუძველზე.

2. აქტივისტ-პენსიონერთა საბჭოს ძირითადი ამოცანაა იმ პენსიონერთა საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმა, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს აქტიური მონაწილეობა მიიღონ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში და მზად არიან დაეხმარონ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში.

აქტივისტ-პენსიონერთა საბჭოების ამოცანაში შედის აგრეთვე ზრუნვა პენსიონერთა მატერიალური და კულტურული პირობების გაუმჯობესებისათვის.

3. თავიანთი მთავარი ამოცანის განსახორციელებლად აქტივისტ-პენსიონერთა საბჭოები:

ა) ეხმარებიან მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს. აგრეთვე პარტიულ, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ისეთ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის მიღებით, რომლებსაც ისინი ატარებენ დაგეგმარებისა და აღრიცხვის, საფინანსო-საკონტროლო, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურულ-საგანმანათლებლო, ვაჭრობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, მშენებლობის, კეთილმოწყობისა და გამწვანების, სოციალისტური კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის და სხვა დარგის ხაზით.

ბ) ხელს უწყობენ მსხვილ საწარმოებსა და დაწესებულებებში აქტივისტ-პენსიონერთა საბჭოების ჩამოყალიბებას და აქტიურად მონაწილეობენ მათი მუშაობის მოწესრიგებაში;

4. აქტივისტ-პენსიონერთა საბჭოს ხელმძღვანელობას უწევს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი რაიონული, საქალაქო და სადაბო საბჭოს აღმასკომი.

5. აქტივისტ-პენსიონერთა საბჭო აირჩევა აქტივისტ-პენსიონერთა საერთო კრებაზე ღია კენჭის ყრით, ერთი წლის ვადით.

საბჭოს წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს საერთო კრება 5-დან 7 კაცამდე.

6. აქტივისტ-პენსიონერთა საერთო კრებას საბჭო მოიწვევს წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე კრება შეიძლება მოწვეულ იქნას მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და სადაბო საბჭოს აღმასკომის მოთხოვნით.

7. საბჭო თავის შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს.

8. აქტივისტ-პენსიონერთა საბჭოს სხდომა ტარდება თვეში ერთხელ მაინც. სხდომაზე ყველა საკითხი წყდება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

9. აქტივისტ-პენსიონერთა საბჭო თავის მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო და სადაბო საბჭოს აღმასკომს ამ უკანასკნელის მიერ დადგენილ ვადებში და აქტივისტ-პენსიონერთა საერთო კრებას — წელიწადში ერთხელ.

10. აქტივისტ-პენსიონერთა საბჭო მთელ თავის საქმიანობაში განუხრელად ხელმძღვანელობს საბჭოთა კანონმდებლობით.

11. საჭიროებისა და შესაძლებლობის მიხედვით, აგრეთვე აქტივისტ-პენსიონერთა პროფესიისა და სურვილის გათვალისწინებით საბჭო ქმნის დარგობრივ სექციებს, რომელთა მეშვეობით იგი წარმართავს თავის ძირითად საქმიანობას.

12. სექცია თავის სხდომაზე ირჩევს ხელმძღვანელს, რომელიც ანგარიშვალდებულია როგორც სექციის, ასევე საბჭოს წინაშე.

13. სექცია თავის საქმიანობას ეწევა მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და სადაბო საბჭოს მუდმივ კომისიებთან და აღმასკომის განყოფილებებთან შეთანხმებულად.

14. აქტივისტ-პენსიონერთა საბჭოს, გამოცდილებათა გაზიარების მიზნით, შეუძლია კავშირი იქონიოს როგორც საქართველოს სსრ, ასევე სხვა მოკავშირე რესპუბლიკის პენსიონერთა ორგანიზაციებთან.

15. აქტივისტ-პენსიონერებს დავალებანი ეძლევათ საბჭოს ან სექციის მიერ მათი პროფესიის, მუშაობის გამოცდილების, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მიდრეკილების გათვალისწინებით.

16. აქტივისტ-პენსიონერები, რომლებიც სანიმუშოდ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, შეიძლება წახალისებულ იქნან მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და სადაბო საბჭოების აღმასკომებისა და აგრეთვე აქტივისტ-პენსიონერთა საბჭოს მიერ.

17. აქტივისტ-პენსიონერთა საბჭოს შეუძლია იქონიოს კედლის გაზეთი ისეთი საკითხების გასაშუქებლად, რაც მის საქმიანობასთანაა დაკავშირებული.

18. აქტივისტ-პენსიონერთა საბჭო თავის საქმიანობასთან დაკავშირებით სარგებლობს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და სადაბო საბჭოების აღმასკომების სადგომებით და ინვენტარით სათანადო განკარგულების შესაბამისად.

58 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 3 დეკემბრის № 816 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლისა და სამარშრუტო სატვირთო ტაქსმოტორებით მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 3 დეკემბრის № 816 დადგენილება „სამარშრუტო მსუბუქი ტაქსმოტორებით მგზავრობის ტარიფების თაობაზე“ იმ ტარიფის ნაწილში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც შეეხება მსუბუქი ტაქსით მგზავრობას სარესპუბლიკათა-შორისო მარშრუტებზე.

2. მიღებულ იქნას საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს წინადადებანი და დამტკიცდეს სარესპუბლიკათაშორისო მარშრუ-ტებზე სამარშრუტო მსუბუქი ტაქსით მგზავრობის ტარიფი, სადაზ-ღვევო გამოსაღების ჩათვლით, № 1 დანართის თანახმად.

3. დამტკიცდეს სამარშრუტო სატვირთო ტაქსმოტორებით მგზა-ვრობის ახალი ზოლობრივი ტარიფები და შემოღებულ იქნას ისინი სამოქმედოდ 1963 წლის 1 იანვრიდან, № 2 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 23 მაისი, № 341

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 23 მაისის № 341 დადგენილების დანართი № 1

ზოლოგრივი ტარიფები

სამარშრუტო მსუბუქი ტაქსმოტორებით მგზავრობისათვის

ზ ო ლ ი	მანძილი	ღირებულება სარესპუბლიკათაშორისო მარშრუტებით მგზავრობისა სადაზღვევო გამოსალების ჩათვლით (მან. და კაპ.)
1	1—5	0—13
2	6—10	0—33
3	11—15	0—48
4	16—20	0—73
5	21—25	0—88
6	26—30	1—03
7	31—35	1—18
8	36—40	1—33
9	41—45	1—48
10	46—50	1—63
11	51—60	1—88
12	61—70	2—18
13	71—80	2—48
14	81—90	2—85
15	91—100	3—15
16	101—110	3—45
17	111—120	3—75
18	121—130	4—05
19	131—140	4—35
20	141—150	4—65
21	151—165	5—00
22	166—180	5—45
23	181—195	5—85
24	196—210	6—25
25	211—225	6—65
26	226—240	6—95
27	241—255	7—25
28	256—270	7—55
29	271—285	7—85
30	286—300	8—15
31	301—320	8—45
32	321—340	8—75
33	341—360	8—95

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ ო ლ ი	მანძილი	ღირებულება სარესპუბ-ლიკათაშორისო მარშრუ-ტებით მგზავრობისა სა-დაზღვევო გამოსაღების ჩათვლით (:ან. და კაპ.)
34	361—380	9—15
35	381—400	9—35
36	401—420	9—55
37	421—440	9—75
38	441—460	9—95
39	461—480	10—15
40	481—500	10—25

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ᲕᲘᲠᲐᲥᲐᲫᲔ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 23 მაისის № 341 დადგენილების დანართი № 2

ზოლოგრივი ტარიფები

სამარშრუტო სატვირთო ტაქსმოტორებით მგზავრობისათვის

ზ ო ლ ი	მ ა ნ ძ ი ლ ი	მგზავრობის ღირებულება (მან. კაპ.)
1	1—5	0—05
2	6—10	0—13
3	11—15	0—20
4	16—20	0—28
5	21—25	0—35
6	26—30	0—43
7	31—35	0—50
8	36—40	0—58
9	41—45	0—65
10	46—50	0—73
11	51—55	0—80
12	56—60	0—88
13	61—65	0—95
14	66—70	1—03
15	71—75	1—10
16	76—80	1—8
17	81—85	1—25
18	86—90	1—33
19	91—95	1—40
20	96—100	1—48
21	101—110	1—58
22	111—120	1—73
23	121—130	1—38
24	131—140	2—03
25	141—150	2—18
26	151—160	2—33
27	161—170	2—48
28	171—180	2—63
29	181—190	2—78
30	191—200	2—93
31	201—210	3—08
32	211—220	3—23
33	221—230	3—38
34	231—240	3—53
35	241—250	3—68
36	251—260	3—83
37	261—270	3—98
38	271—280	4—13
39	281—290	4—28
40	291—300	4—43

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟვირაძაძე.**

59 საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პროექტი დებულებისა საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 23 მაისი, № 342

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 23 მაისის № 342
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. ამ დებულების საფუძველზე მოქმედი საზოგადოებრივი ავტოინსპექტორები მოწოდებული არიან დახმარება გაუწიონ სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოებს იმ მხრივ, რომ უზრუნველყოფილ იქნას წესრიგი და საავტომობილო ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხობა. გაძლიერდეს ავტომოტოტრანსპორტსა და ქალაქის ელექტროტრანსპორტზე ავარიულობის წინააღმდეგ ბრძოლა და ჩატარდეს ახსნა-განმარტებითი მუშაობა მძღოლთა და მოსახლეობას შორის მოძრაობის უსაფრთხობის წესების შესახებ.

2. საზოგადოებრივ ავტოინსპექტორებად შეიძლება იყვნენ ავტომეურნეობების, საგზაო ორგანოების მუშაკები, სარემონტო-ტექნიკური სადგურების ინსპექტორები, ავტოსკოლებისა და კურსების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებლები და ინსტრუქტორები, აგრეთვე მოწინავე მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები, უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეები და პენსიონერები, რომლებიც საფუძვლიანად იცნობენ ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესებს.

3. საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების კანდიდატურებს, ნებაყოფლობითს საფუძვლებზე, იმ კოლექტივთა კრებების რეკომენდაციით, რომლებშიაც ისინი იმყოფებიან, მიიღებენ საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების საქალაქო (რაიონული) საბჭოები და დაამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს შესაბამისი აღმასკომის მილიციის განყოფილება.

4. საზოგადოებრივი ავტოინსპექტორი თავის მოვალეობას ასრულებს როგორც ხაზზე მუშაობასთან შეხამებით (თუ იგი მძღოლია), ისე მუშაობისა და მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს.

5. საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების მითითებანი მოძრაობის უსაფრთხობის შესახებ, ამ დებულებით განსაზღვრული მათი უფლებების ფარგლებში, სავალდებულოა ყველა მოქალაქისა და ტრანსპორტის მძღოლისათვის.

6. საზოგადოებრივ ავტოინსპექტორებს მიეცემათ სპეციალური მოწმობები. ტრანსპორტის მძღოლებს, რომლებიც საზოგადოებრივი ავტოინსპექტორები არიან, მიეცემათ სპეციალური ტალონები შოფრის მოწმობის ჩართული ტალონის ნაცვლად.

7. სპეციალური მოწმობები და სპეციალური ტალონები გაიცემა ერთი წლის ვადით. ამ დოკუმენტების განახლება ან მოქმედების ვადის გაგრძელება წარმოებს საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე.

8. როდესაც საზოგადოებრივი ავტოინსპექტორი მართავს მასზე მიმაგრებულ ტრანსპორტს, ამ ტრანსპორტს გაუკეთდება გამოსაცნობი ნიშანი: მსუბუქ ავტომობილს, ავტობუსს, ტრამვაისა და ტროლეიბუსს — საქარე და უკანა მინებზე, ხოლო სატვირთო ავტომანქანას — საქარე მინასა და უკანა ბორტზე მარცხნივ.

9. უკეთუ საზოგადოებრივი ავტოინსპექტორი სხვა რაიონში გადავიდა ახალ საცხოვრებელ ადგილზე ან გაირიცხა იგი საზოგადოებრივი ინსპექტორების შემადგენლობიდან, გაცემული სპეციალური მოწმობები და გამოსაცნობი ნიშანი ჩაბარდება სახელმწიფო ავტოინსპექციას, ხოლო სპეციალური ჩართული ტალონი უნდა გამოიცვალოს შოფრის მოწმობის ჩართულ ტალონზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ხაზზე მუშაობის დროს საზოგადოებრივი ავტოინსპექტორი ატარებს წითელ მკლავსახვევს წარწერით „საზოგადოებრივი ავტოინსპექტორი“.

II. საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების მოვალეობანი

11. საზოგადოებრივი ავტოინსპექტორი უნდა იყოს შეურიგებელი საზოგადოებრივი წესრიგისა და მოძრაობის უსაფრთხობის წესების დამრღვევთა მიმართ, უნდა ახორციელებდეს ღონისძიებებს, მიმართულს მოძრაობაში დისციპლინის გამტკიცებისა და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების მიზეზების თავიდან აცილებისაკენ.

12. საზოგადოებრივი ავტოინსპექტორი მოვალეა:

ა) კარგად იცოდეს ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესები, იყოს მაგალითის მიმცემი მოძრაობის წესების დაცვისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის საქმეში;

ბ) თვალყური ადევნოს იმას, რომ ტრანსპორტის მძღოლებმა და მგზავრებმა, აგრეთვე ქვეითად მოსიარულეებმა მტკიცედ დაიცვან მოძრაობის უსაფრთხობის წესები ქუჩებში და გზებზე;

გ) მონაწილეობა მიიღოს საექსპლუატაციოდ გამოსული ტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობისადმი კონტროლის განხორციელებაში და თავიდან აიცილოს ტექნიკურად უწესივრო ავტომობილების გამოსვლა ხაზზე;

დ) თვალყური ადევნოს მძღოლთა მიერ ავტომოტოტრანსპორტის სწორად გამოყენებას;

ე) აწარმოოს მუშაობა მოძრაობის უსაფრთხობის წესების განმარტებისათვის როგორც ავტომეურნეობებში, ისე მოსახლეობაშიც;

ვ) დამრღვევებისადმი მიმართვის დროს წინასწარ გააცნოს მათ თავისი ვინაობა და წარუდგინოს თავისი მოწმობა;

ზ) მოძრაობის წესების დამრღვევებზე ზეგავლენა მოახდინოს უწინარეს ყოვლისა დაჯერებით და გაფრთხილებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც მძღოლი არ გაჩერდა საზოგადოებრივი ავტოინსპექტორის სიგნალით, ჩაიწეროს ტრანსპორტის სანომრო ნიშანი და სახეობა, წესის დარღვევის თარიღი, დრო, ადგილი და ხასიათი, შეძლებისდაგვარად აღნიშნოს მოწმეები და ამის შესახებ წარუდგინოს პატაკი საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების საბჭოს რეაგირებისათვის;

თ) გამოავლინოს ნაკლოვანებანი მოძრაობის ორგანიზაციის არსებულ სქემებში, აძლიოს წინადადებანი მათი აღმოფხვრის შესახებ;

ი) დაუყოვნებლივ აცნობოს სახელმწიფო ავტოინსპექციას მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებათა ყოველგვარი აღმოჩენილი უწესივრობის შესახებ;

კ) მოხსნას ხაზიდან და გაგზავნოს გარაჟში სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც აქვს ტექნიკური დეფექტები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მოძრაობას, რაც ჩაწეროს საგზურში.

III. საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების უფლებები

13. თავის მოვალეობათა შესრულების უზრუნველსაყოფად საზოგადოებრივ ავტოინსპექტორს ენიჭება უფლება:

ა) გააჩეროს სატრანსპორტო საშუალება, რომლის მძღოლმა დაარღვია მოძრაობის წესები და შეამოწმოს აქვს თუ არა მას საგზური და წამყვანის საბუთი, დაადგინოს, თუ რამდენად სწორად იყენებს მძღოლი სატრანსპორტო საშუალებას, გააფრთხილოს ის, რომ შეუწყნარებელია მოძრაობის წესების დარღვევა;

ბ) დააკაოს მძღოლები ავტომანქანიანად და მიიყვანოს ისინი მილიციის უახლოეს ორგანოში ან სახელმწიფო ავტოინსპექციაში, თუ დასტურდება, რომ მძღოლი საჭეს მართავს არაფხიზელ მდგომარეობაში, ხოლო მოძრაობის წესების სხვა განსაკუთრებით უხეში დარღვევის შემთხვევებში — ჩამოართვას შოფრის მოწმობა და გადასცეს იგი მილიციის თანამშრომლებს;

გ) გაფრთხილება მისცეს ქვეითად მოსიარულეებს და ტრანსპორტის მგზავრებს, რომლებიც არღვევენ მოძრაობის წესებს;

დ) დააკაოს ავტომანქანა და მძღოლი, რომელმაც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა ჩაიდინა, მანამ, ვიდრე შემთხვევის ადგილზე არ გამოცხადდება მილიციის მუშაკი, დაიცვას შემთხვევის ადგილი და ჩაიწეროს მოწმეთა გვარი და მისამართი;

ე) მივიდეს დაწესებულებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში საუბრებისა და მოძრაობის უსაფრთხობის სხვა ღონისძიებათა ვასატარებლად.

14. საზოგადოებრივ ავტოინსპექტორს ეკრძალება:

ადმინისტრაციული ოქმების შედგენა;

დაჯარიმება მოძრაობის წესების დარღვევისათვის;

აიძულოს მძღოლები გადაზიდონ ტვირთი, გადაიყვანონ მგზავრები ან შეცვალოს მოძრაობის მარშრუტი;

ჩამოართვას რაიმე დოკუმენტები მოქალაქეებსა და მძღოლებს გარდა იმ შემთხვევებისა, რაც გათვალისწინებულია ამ დებულების მე-13 მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით;

მოხსნას სანომრო ნიშნები ავტომობილებსა და მოტოციკლებს.

შენიშვნა: იმ საზოგადოებრივ ავტოინსპექტორებს, რომლებიც სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში მუშაობენ მანქანა-ტრაქტორთა პარკის მდგომარეობისადმი სახელმწიფო ტექნიკური ზედამხედველობის ხაზით, უფლება აქვთ მოხსნან სანომრო ნიშნები ტექნიკურად უწესივრო ავტომობილებს, რომლებიც ეკუთვნით კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს სარემონტო-ტექნიკური სადგურის მოქმედების ზონაში.

IV. საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების წახალისება და პასუხისმგებლობა

15. საზოგადოებრივი ავტოინსპექტორები, რომლებმაც გამოიჩინეს თავი მოძრაობის უსაფრთხოების ღონისძიებათა განხორციელებაში, იმ მძღოლთა დაკავებაში, რომლებმაც დაუშვეს უხეში დარღვევები ან საგზაო შემთხვევები, — შეიძლება წაახალისონ მილიციის საქალაქო და რაიონულმა ორგანოებმა, დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციამ და კოლმეურნეობის გამგეობამ მადლობის გამოცხადებით, სიგელის გადაცემით, საპატიო დაფაზე შეტანით, ხოლო ვაჟკაცობისა და მამაცობის გამოჩენისათვის — წარდგენილი იქნან ჯილდოებზე.

16. იმ შემთხვევაში თუ საზოგადოებრივმა ავტოინსპექტორმა, რომელიც საჭესთან იმყოფება, დაარღვია მოძრაობის წესები, რაც არ იწვევს შოფრის მოწმობის ჩამორთმევას, ამაზე შედგება პატაკი და გადაეცემა ზომების მისაღებად საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების სათანადო საბჭოს.

საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების საბჭო, დანაშაულის ხასიათისა და მნიშვნელობის მიხედვით, დამრღვევს გამოუცხადებს შენიშვნას ან მილიციის შესაბამისი ორგანოს წინაშე დააყენებს საკითხს საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა რიგებიდან მისი გარიცხვის შესახებ, რასაც იმავდროულად აცნობებს რეკომენდაციის მიმცემ ორგანიზაციას.

V. საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების საბჭოები

17. საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების მუშაობისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებენ საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების საბჭოები, რომლებიც შეიქმნებიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომების მილიციის განყოფილებებთან.

18. საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების საბჭოები აირჩევიან ღია კენჭისყრით რაიონის, ქალაქის საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების საერთო კრებებზე შემადგენლობით არა ნაკლებ 7 კაცისა, ერთი წლის ვადით.

19. საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს, ხოლო საჭიროების დროს — საბჭოს პრეზიდიუმს.

20. საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების საბჭოს ძირითადი მოვალეობაა:

ა) საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების მუშაობის ორგანიზაცია და კოორდინაცია რაიონში, ქალაქში;

ბ) მოძრაობის უსაფრთხობის ღონისძიებათა გატარება;

გ) ტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობის და მისი ექსპლუატაციის სისწორის შემოწმების ორგანიზაცია;

დ) მოძრაობის უსაფრთხობის წესების პროპაგანდა;

ე) საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების მუშაობის გამოცდილება-განზოგადება;

ვ) სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების — კროსების, გარბენების, შეჯიბრებების მოწყობა და ა. შ.;

ზ) სატირული კედლის გაზეთების, ბიულეტენების და სხვათა გამოშვება ტრანსპორტის და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის საკითხებზე.

21. საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების საბჭოები მჭიდრო კავშირს ამყარებენ ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებთან და აგრეთვე იმ კოლექტივებთან, რომლებმაც წამოაყენეს საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების კანდიდატურა.

60 **ავტომობილების სარემონტთაშორისო გარბენის დამტკიცებული ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის ავტომობილების შოფრებისა და საავტომობილო მეურნეობათა რემონტის მუშების დაჯილდოების გაუქმების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 19 მაისის № 465 დადგენილებით ავტომობილების კაპიტალური რემონტის აგრეგატული მეთოდის დანერგვასთან და 1963 წლის 1 იანვრიდან საამორტიზაციო ანარიცხთა ახალი ნორმების შემოღებასთან დაკავშირებით, 1963 წლის 1 იანვრიდან უქმდება ავტომობილების შოფრებისა და საავტომობილო მეურნეობათა რემონტის მუშების დაჯილდოება ავტომობილების სარემონტთაშორისო გარბენის დამტკიცებული ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ითვლება 1963 წლის 1 იანვრიდან „საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკთა ხელფასის მოწესრიგების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 აგვისტოს № 896 დადგენილების მე-8 მუხლის ქვეპუნქტი „ლ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 29 მაისი, № 359

61 **იმ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ფრინველის, ბოცვერის, ნაღებისა და ერბო-კარაქის შესასყიდი და ჩასაბარებელი ფასების შესახებ, რომლებსაც საქართველოს სსრ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები მიჰყიდიან (ჩააბარებენ) სახელმწიფოს**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 17 მაისის № 456 და 1962 წლის 31 მაისის № 512 დადგენილებების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს 1962 წლის 1 ივნისიდან საქართველოს სს რესპუბლიკაში იმ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ფრინველის, ბოცვერის, ნაღებისა და ერბო-კარაქის შესასყიდი და ჩასაბარებელი ფასები, რომლებსაც კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები მიჰყიდიან (ჩააბარებენ) სახელმწიფოს, № 1 და № 2 დანართების თანახმად.

2. შენარჩუნებულ იქნას ცხვრის მოქმედი შესასყიდი და ჩასაბარებელი ფასები, რომლებიც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 ივლისის № 446 და 1961 წლის 2 მარტის № 110 დადგენილებებით.

ყველა ჯიშის ცხვარზე, გარდა რომანულისა, წონით 16 კილოგრამი და მეტი მატყლისა და ნახევრად მატყლის საფარველით, რომელიც შეესაბამება ქურქბეწვეულის ტყაპუჭის სტანდარტს, დაწესდეს 1962 წლის 1 ივნისიდან შესასყიდი და ჩასაბარებელი ფასების დანამატი 15 პროცენტის რაოდენობით.

3. დაწესდეს, რომ პირუტყვი, ფრინველი, ერბო-კარაქი და ნაღები, რომლებსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა მეურნეობები, ანაზღაურდება იმ ფასებში, რაც დაწესებულია ამ დადგენილების თანახმად შესაბამის პროდუქციაზე კოლმეურნეობებისათვის.

4. დამატებითი მოგება, რაც 1962 წელს ექნებათ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და სასუქებელ მეურნეობებს მეცხოველეობის პროდუქციის ჩასაბარებელი და შესასყიდი ფასების გადიდებასთან დაკავშირებით, შეტანილ იქნას ბიუჯეტში.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 ივლისის № 446 და 1961 წლის 2 მარტის № 110 დადგენილებანი იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ფრინველის, ბოცვერის, ერბო-კარაქისა და ნაღების შესასყიდ და ჩასაბარებელ ფასებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 31 მაისი, № 363

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 31 მაისის № 363
დადგენილების დანართი № 1

ფასები

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა, ღორისა, ფრინველისა, ბოცვერისა, ნაღებისა და ერბო-კარაქისა, რომლებსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან საქართველოს სსრ კოლმეურნეობები

მ ს ხ ვ ი ლ ფ ე ხ ა რ ქ ი ა ნ ი პ ი რ უ ტ ყ ვ ი

	(მანეთობით ცოცხალი წონის ერთ ცენტნერში)
უმაღლესი ნაკვებობისა	116
საშუალო ნაკვებობისა	97
საშუალოზე დაბალი ნაკვებობისა	73

პირველი კატეგორიის ბუღა ანაზღაურდება უმაღლესი ნაკვებობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფასებში, ხოლო მეორე კატეგორიის ბუღა — საშუალო ნაკვებობის პირუტყვის ფასებში.

პირველი კატეგორიის ხბო ანაზღაურდება საშუალო ნაკვებობის პირუტყვის ფასებში, ხოლო მეორე კატეგორიის ხბო — საშუალოზე დაბალი ნაკვებობის პირუტყვის ფასებში.

შემცირებული კონდიციების (მჭლე, არასტანდარტული) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის შესყიდვა წარმოებს საშუალოზე დაბალი ნაკვებობის პირუტყვის ფასების 20 პროცენტით ნაკლებ ფასში.

როდესაც კოლმეურნეობები ყიდიან მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცს, ამ ხორცის ანაზღაურება წარმოებს ისეთ ფასებში, რომლებიც განისაზღვრება ცოცხალი პირუტყვის ფასის ხორცის ფასზე გადაანგარიშების შემდეგი კოეფიციენტების გამოყენებით: უმაღლესი ნაკვებობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცისა — 1,65, საშუალო ნაკვებობის ხორცისა — 1,75 და საშუალოზე დაბალი ნაკვებობის ხორცისა — 1,82.

ღ ო რ ი

	(მანეთობით ცოცხალი წონის ერთ ცენტნერში)
სახორცე	115
საბეკონე და მსუქანი	135

6-დან 20 კილოგრამამდე წონის გოჭი და არასტანდარტული ღორი ანაზღაურდება სახორცე ღორის ფასის 20 პროცენტით ნაკლებ ფასში.

6 კილოგრამამდე ცოცხალი წონის ძუძუთა გოჭი ანაზღაურდება 1 მან. და 50 კაპიკად ცოცხალი წონის კილოგრამში.

ღორის ხორცის ჩაბარების დროს მისი ანაზღაურება წარმოებს ისეთ ფასებში, რომლებიც განისაზღვრება ცოცხალი ღორის ფასის ღორის ხორცის ფასზე გადაანგარიშების შემდეგი კოეფიციენტების გამოყენებით: სახორცე და საბეკონე ხორცისა — 1,40 და მსუქანი ხორცისა — 1,35.

ფ რ ი ნ ვ ე ლ ი

(მანეთობით ცოცხალი წონის ერთ ცენტნერში)

ქათამი და წიწილა	140
იხვი	110
ბატი	100
ინდაური	160

ფრინველის ხორცის ჩაბარების დროს მისი ანაზღაურება წარმოებს ისეთ ფასებში, რომლებიც განისაზღვრება ცოცხალი ფრინველის ფასის ფრინველის ხორცის (გამოშიგნული) ფასზე გადაანგარიშების შემდეგი კოეფიციენტის გამოყენებით: ქათმის და წიწილის ხორცისა — 1,18, იხვის, ბატის და ინდაურის ხორცისა — 1,20.

ბ ო ც ვ ე რ ი

(კაპიკობით ცოცხალი წონის ერთ კილოგრამში)

პირველი კატეგორიის ბოცვერი	90
მეორე კატეგორიის ბოცვერი	78

ეროვნული ბიბლიოთეკა

(კაპიკობით ერთ კილოგრამ ნაღებში
ცხიმის 10 პროცენტისათვის)

ნ ა ღ ე ბ ი 27

ე რ ბ ო-კ ა რ ა ქ ი

(მანეთობით და კაპიკობით
ერთ კილოგრამში)

კარაქი, რომელიც შეიცავს ცხიმს არანაკლებ 75 პროცენტისა	1—80
ერბო, რომელიც შეიცავს ცხიმს არანაკლებ 95 პროცენტისა	2—30

კარაქი სტანდარტული (მარილიანი, რომელიც შეიცავს ცხიმს არანაკლებ 81 პროცენტისა და უმარილო, რომელიც შეიცავს ცხიმს არანაკლებ 83 პროცენტისა):

უმაღლესი ხარისხის	2—50
პირველი ხარისხის	2—40

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 31 მაისის № 363
დადგენილების დანართი № 2

ჩასაბარებელი ფასები

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა, ღორისა, ფრინველისა და ბოცვერისა, რომლებსაც სახელმწიფოს აბარებენ საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები

მ ს ხ ვ ი ლ ფ ე ხ ა რ ქ ი ა ნ ი პ ი რ უ ტ ყ ვ ი

(მანეთობით ცოცხალი წონის
ერთ ცენტნერში)

უმაღლესი ნაკვებობისა	104
საშუალო ნაკვებობისა	87
საშუალოზე დაბალი ნაკვებობისა	66

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი კატეგორიის ბუღა ანაზღაურდება უმაღლესი ნაკვებობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფასებში, ხოლო მეორე კატეგორიის ბუღა — საშუალო ნაკვებობის პირუტყვის ფასებში.

პირველი კატეგორიის ხბო ანაზღაურდება საშუალო ნაკვებობის პირუტყვის ფასებში, ხოლო მეორე კატეგორიის ხბო — საშუალოზე დაბალი ნაკვებობის პირუტყვის ფასებში.

შემცირებული კონდიციების (მჭლე, არასტანდარტული) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჩაბარება წარმოებს საშუალოზე დაბალი ნაკვებობის პირუტყვის ფასების 20 პროცენტით ნაკლებ ფასში.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცის ჩაბარების დროს ამ ხორცის ანაზღაურება წარმოებს ისეთ ფასებში, რომლებიც განისაზღვრება ცოცხალი პირუტყვის ფასის ხორცის ფასზე გადაანგარიშების შემდეგი კოეფიციენტების გამოყენებით: უმაღლესი ნაკვებობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცისა — 1,65, საშუალო ნაკვებობის ხორცისა — 1,75 და საშუალოზე დაბალი ნაკვებობის ხორცისა — 1,82.

ღ ო რ ი

	(მანეთობით ცოცხალი წონის ერთ ცენტნერში)
სახორცე	104
საბეკონე და მსუქანი	122

6-დან 20 კილოგრამამდე წონის გოჭი და არასტანდარტული ღორი ანაზღაურდება სახორცე ღორის ფასის 20 პროცენტით ნაკლებ ფასში.

6 კილოგრამამდე ცოცხალი წონის ძუძუთა გოჭი ანაზღაურდება 1 მან. და 35 კაპიკად ცოცხალი წონის ერთ კილოგრამში.

ღორის ხორცის ჩაბარების დროს მისი ანაზღაურება წარმოებს ისეთ ფასებში, რომლებიც განისაზღვრება ცოცხალი ღორის ფასის ღორის ხორცის ფასზე გადაანგარიშების შემდეგი კოეფიციენტების გამოყენებით: სახორცე და საბეკონე ხორცისა — 1,40 და მსუქანი ხორცისა — 1,35.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ რ ი ნ ვ ე ლ ი

	(მანეთობით ცოცხალი წონის ერთ ცენტნერში)
ქათამი და წიწილა	126
იხვი	99
ბატი	90
ინდაური	144

ფრინვლის ხორცის ჩაბარების დროს მისი ანაზღაურება წარმოებს ისეთ ფასებში, რომლებიც განისაზღვრება ცოცხალი ფრინვლის ფასის ფრინვლის ხორცის (გამოშიგნული) ფასზე გადაანგარიშების შემდეგი კოეფიციენტის გამოყენებით: ქათმის და წიწილის ხორცისა — 1,18, იხვის, ბატის და ინდაურის ხორცისა — 1,20.

ბ ო ც ვ ე რ ი

	(კაპიკობით ცოცხალი წონის ერთ კილოგრამში)
პირველი კატეგორიის ბოცვერი	81
მეორე კატეგორიის ბოცვერი	70

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

62 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გახსნას:

ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნო;

ქ. თბილისის კიროვის რაიონის სასკოლო სასწავლო-საწარმოო სახელოსნო;

ქ. ქუთაისის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნო;

ახალქალაქის რაიონის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნო;

ზუგდიდის რაიონის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნო;

ყვარლის რაიონის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნო;

წალკის რაიონის ხრამჰესის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნო;

ხაშურის რაიონის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნო;

ბოლნისის რაიონის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნო;

დმანისის რაიონის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნო;

დმანისის რაიონის სოფ. ყიზილქილისის სასკოლო სასწავლო-საწარმოო სახელოსნო;

წითელწყაროს რაიონის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნო;

თელავის რაიონის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნო;

საჩხერის რაიონის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნო;

ყაზბეგის რაიონის სასკოლო სასწავლო-საწარმოო სახელოსნო;

2. ამ დადგენილების 1 მუხლში აღნიშნული სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების შემოსავალი და ხარჯები განიხილონ და დაამტკიცონ შესაბამისი ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა დადგენილი წესის მიხედვით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ გამოყოფილი შრომის გეგმის ფარგლებში.

3. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 24 ივლისის № 470 დადგენილების მე-12 მუხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად უზრუნველყოს ახალგახსნილი სახელოსნოები საჭირო მასალებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 15 ივნისი, № 396

63 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სოფლის ელექტროსადგურებისა და ელექტროდანადგარებისადმი ტექნიკური ზედამხედველობისა და კონტროლის რესპუბლიკური ინსპექციის („სახსოფლელექტროზედამხედველობის“) დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკური ინსპექცია „სახსოფლელექტროზედამხედველობა“ ერთსა და იმავე დროს ახორციელებს ტექნიკურ ზედამხედველობასა და კონტროლს სოფლის ელექტროდანადგარებისადმი, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს და საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების გამგებლობაში, აგრეთვე საკოლმეურნეო ელექტროდანადგარებისადმი, — რესპუბლიკური ინსპექცია „სახსოფლელექტროზედამხედველობა“ უშუალოდ დაუმორჩილდეს გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“.

2. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სოფლის ელექტროსადგურებისა და ელექტროდანადგარებისადმი ტექნიკური ზედამხედველობისა და კონტროლის რესპუბლიკური ინსპექციის — „სახსოფლელექტროზედამხედველობის“ შესახებ.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 მარტის № 179 დადგენილებით დამტკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცებული დებულება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველოს რესპუბლიკური ინსპექციის — „სახსოფლელექტროზედამხედველობის“ შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 15 ივნისი, № 402

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 15 ივნისის № 402 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სოფლის ელექტროსადგურებისა და ელექტროდანადგარებისადმი ტექნიკური ზედამხედველობისა და კონტროლის რესპუბლიკური ინსპექციის „სახსოფლელექტროზედამხედველობის“ შესახებ

I. ზ ო გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი

1. სოფლის ელექტროსადგურებისა და ელექტროდანადგარებისადმი ტექნიკური ზედამხედველობისა და კონტროლის რესპუბლიკური ინსპექცია „სახსოფლელექტროზედამხედველობა“ იმყოფება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ შემადგენლობაში და განახორციელებს ტექნიკურ ზედამხედველობასა და კონტროლს სოფლის ენერგეტიკული დანადგარებისადმი (ელექტროსადგურები, სატრანსფორმატორო ქვესადგურები, ელექტროქსელები და მოწყობილობა), რომლებიც იმყოფებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს და საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს საწარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა და ორგანიზაციათა გამგებლობაში, აგრეთვე საკოლმეურნეო ელექტროდანადგარებისადმი.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკური ინსპექცია „სახსოფლელექტროზედამხედველობა“ თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს ამ დებულებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, ელექტროზედამხედველობის წესებითა და ინსტრუქციებით, რომლებიც სავალდებულოა ყველა სამინისტროსა და უწყებისათვის.

3. რესპუბლიკური ინსპექციის „სახსოფლელექტროზედამხედველობის“ უფროსს და მთავარ ინჟინერს — უფროსის მოადგილეს დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე.

4. რესპუბლიკური ინსპექციის „სახსოფლელექტროზედამხედველობის“ ინსპექტორებსა და „საქმთავსოფლელექტროს“ ენერგეტიკულ საოლქო სამმართველოებთან მყოფ ინსპექტორებს დანიშნავს და გაათავისუფლებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე, რესპუბლიკური ინსპექციის „სახსოფლელექტროზედამხედველობის“ უფროსის წარდგენით.

5. რესპუბლიკურ ინსპექციას „სახსოფლელექტროზედამხედველობას“ აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ გერბი და თავისი სახელწოდება.

6. რესპუბლიკური ინსპექციის „სახსოფლელექტროზედამხედველობის“ ინსპექტორები და „საქმთავსოფლელექტროს“ საოლქო ენერგეტიკულ სამმართველოებთან მყოფი ინსპექტორები სარგებლობენ შტამპით და სამკუთხედი ბეჭდით, რომელზედაც აღნიშნულია მათი თანამდებობა.

7. რესპუბლიკურ ინსპექცია „სახსოფლელექტროზედამხედველობის“ ინსპექტორებს და „საქმთავსოფლელექტროს“ საოლქო ენერგეტიკულ სამმართველოებთან მყოფ ინსპექტორებს მიეცემათ მოწმობები რესპუბლიკური ინსპექციის „სახსოფლელექტროზედამხედველობის“ უფროსის ხელმოწერით.

8. რესპუბლიკურ ინსპექციას „სახსოფლელექტროზედამხედველობას“ აქვს მიმდინარე ანგარიში სახელმწიფო ბანკში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. უფლება-მოვალეობანი

9. რესპუბლიკური ინსპექცია „სახსოფლელექტროზედამხედველობა“ ტექნიკურ ზედამხედველობასა და კონტროლს გაუწევს სოფლის ელექტროდანადგარებს რესპუბლიკური ინსპექციის „სახსოფლელექტროზედამხედველობის“ ინსპექტორებისა და „საქმთავსოფლელექტროს“ საოლქო ენერგეტიკულ სამმართველოებთან მყოფი ინსპექტორების მეშვეობით, რომლებსაც ეკისრებათ:

ა) ზედამხედველობა გაუწიონ სოფლის ელექტროდანადგარების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების, ელექტროდანადგარების მოწყობისა და უსაფრთხობის ტექნიკის წესების დაცვას;

ბ) კონტროლი გაუწიონ სოფლის ელექტროსადგურების, სატრანსფორმატორო ქვესადგურების, ელექტროდანადგარებისა და ელექტროქსელების ტექნიკურ მდგომარეობას, რომლებიც ექსპლუატაციაში იმყოფებიან;

გ) მონაწილეობა მიიღონ სოფლის ელექტროსადგურების, სატრანსფორმატორო ქვესადგურების, ელექტროქსელების, ელექტროდანადგარებისა და სხვა ნაგებობების საექსპლუატაციოდ მიმღებ კომისიებში, მათი მშენებლობის დამთავრების ან რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტის შემდეგ;

დ) კონტროლი გაუწიონ ელექტრომოწყობილობის მდგომარეობას და რაციონალურად გამოყენებას სოფლის ელექტროსადგურებში და ელექტროდანადგარებზე, აგრეთვე ელექტროენერგიის დაწესებული ტარიფების სწორად გამოყენებას;

ე) კონტროლი გაუწიონ სოფლის მომხმარებლების მიერ ელექტროენერგიის რაციონალურად და მომჭირნეობით ხარჯვას;

ვ) ჩაატარონ კონსულტაციები საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში ელექტროზედამხედველობის ობიექტების ექსპლუატაციის უსაფრთხობის საკითხებზე;

ზ) კონტროლი გაუწიონ მეხსაწინააღმდეგო ღონისძიებების და ისეთი ღონისძიებების შესრულებას, რომელთა მიზანია ელექტროსადგურების, სატრანსფორმატორო ქვესადგურებისა და ელექტროქსელების დაცვა ზედმეტი ატმოსფერული ძაბვისაგან;

თ) გამოავლინონ სოფლის ელექტროსადგურების, სატრანსფორმატორო ქვესადგურების, ელექტროდანადგარების, ელექტროქსელების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და მონაწილეობა მიიღონ მათი აღმოფხვრის ღონისძიებათა და წინადადებათა შემუშავებაში;

ი) გამოიკვლიონ ელექტროდანადგარებზე მომხდარი ავარიების და უბედური შემთხვევების მიზეზები, აგრეთვე კონტროლი გაუწიონ მათი თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავებას და განხორციელებას;

კ) მონაწილეობა მიიღონ იმ მუშაკთა ცოდნისა და პრაქტიკული ჩვევების შემმოწმებელ კომისიებში, რომლებიც მომსახურებას უწევენ სოფლის ელექტროსადგურებს, სატრანსფორმატორო სადგურებს, ელექტროდანადგარებს, ელექტროქსელებს, აგრეთვე შეამოწმონ, თუ რამდენად არის დაცული ამ მუშაკთა სამუშაოზე დაშვების წესები;

ლ) ჩაატარონ ელექტროზედამხედველობის ობიექტების პერიოდული შემოწმება წელიწადში ერთხელ მაინც.

10. რესპუბლიკური ინსპექციის „სახსოფლელექტროზედამხედველობის“ უფროსს და ელექტროზედამხედველობის მთავარ ინჟინერს, რესპუბლიკური ინსპექციის „სახსოფლელექტროზედამხედველობის“ ინსპექტორებს და „საქმთავსოფლელექტროს“ საოლქო ენერგეტიკულ-სამმართველოებთან მყოფ ინსპექტორებს უფლება აქვთ:

ა) დაუბრკოლებლივ მივიდნენ ყოველ დროს რესპუბლიკური ინსპექციის „სახსოფლელექტროზედამხედველობის“ საქვეზედამხედველო ყოველგვარ ენერგეტიკულ დანადგარებთან, მოწმობის წარდგენის შემდეგ;

ბ) აწარმოონ რესპუბლიკური ინსპექციის „სახსოფლელექტროზედამხედველობის“ საქვეზედამხედველო ენერგეტიკული დანადგარების გამოკვლევა და ტექნიკური შემოწმება, მოსთხოვონ ობიექტების მფლობელებს ტექნიკური დოკუმენტების, გაანგარიშებებისა და ახსნა-განმარტებების წარდგენა ამ ობიექტების ექსპლუატაციის უსაფრთხობასთან და უავარიობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

გ) გამორთონ ელექტროენერგიის ცალკეული მომხმარებლები ელექტროქსელიდან და აკრძალონ საქვეზედამხედველო ობიექტების ენერგეტიკული დანადგარების მუშაობა (დაპლომბონ), იმ შემთხვევაში, თუ ისინი ავარიულ მდგომარეობაში არიან ან საფრთხეს უქმნიან ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ენერგეტიკული დანადგარების მუშაობის შეჩერება წარმოებს საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ან კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის თანდასწრებით, რაზედაც უნდა შედგეს აქტი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) აძლიონ მიწერილობანი ენერგეტიკული დანადგარების საქვეზედამხედველო ობიექტების ადმინისტრაციას და ელექტროენერგიის მომხმარებლებს, რომ დაწესებულ ვადებში აღმოფხვრან გამოვლინებული ნაკლოვანებანი და დარღვევები;

ე) აღძრან შესაბამისი ორგანოების წინაშე საქმეები, რომ დისციპლინურ ან სასამართლო პასუხისგებაში იქნან მიცემული ელექტროსადგურების და ელექტროდანადგარების მუშაკები სოფლის ელექტროდანადგარების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების, უსაფრთხობის ტექნიკის წესების დარღვევისათვის, აგრეთვე ელექტროენერგიის ფლანგვისათვის;

ვ) ტექნიკური ექსპლუატაციის წესების, უსაფრთხობის ტექნიკის წესების დარღვევისათვის, ელექტროენერგიის ფლანგვისათვის, აგრეთვე რესპუბლიკური ინსპექციის „სახსოფლელექტროზედამხედველობის“ ინსპექტორების მიწერილობათა შეუსრულებლობისათვის დააჯარიმონ 5-დან 20 მანეთამდე საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელები, რომელთაც ელექტროდანადგარები აქვთ, მომსახურე პერსონალი და ცალკეული მოქალაქენი.

დაჯარიმების შესახებ შედგენილი აქტები გადაეცემა იმ პირებს, რომლებმაც დარღვევა დაუშვეს.

დაჯარიმების შესახებ შედგენილი აქტები შეიძლება გასაჩივრებულ იქნას ხუთი დღის ვადაში რესპუბლიკური ინსპექციის „სახსოფლელექტროზედამხედველობის“ უფროსთან ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარესთან.

უკეთუ აღნიშნულ ვადაში აქტი არ იქნა გასაჩივრებული ან თუ საჩივარი უარყოფილია, აქტი ჯარიმის გადახდევინების შესახებ მოყვანილი იქნება სისრულეში.

დაჯარიმების შესახებ შედგენილი აქტების ასლებს რესპუბლიკური ინსპექცია „სახსოფლელექტროზედამხედველობა“ გაგზავნის დამრღვევთა მუშაობის ადგილზე. დამნაშავე პირებს ჯარიმას გადაახდევინებს შესაბამისი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ბუღალტერია უდავო წესით დაჯარიმებულის ხელფასიდან დაქვითვით.

კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს, ცალკეულ კოლმეურნეებსა და მოქალაქეებს ჯარიმა გადახდებათ სასამართლო ორგანოების მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადახდევინებული ჯარიმა შეიტანება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებებში და გადაირიცხება საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში.

11. ელექტროდანადგარებზე მომხდარი ყოველგვარი ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ ამ დანადგარების ხელმძღვანელები მოვალენი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ რესპუბლიკური ინსპექციის „სახსოფლელექტროზედამხედველობის“ ინსპექტორს.

12. რესპუბლიკური ინსპექციის „სახსოფლელექტროზედამხედველობის“ ინსპექტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ამ დებულების დარღვევისათვის ან მინიჭებული უფლებების გადამეტებისათვის.

64 მოქალაქეთა კუთვნილი იმ შენობების ღირებულების ანაზღაურების წესის შესახებ, რომლებიც აღებულ უნდა იქნან ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით

„მოქალაქეთა სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 27 მარტის ბრძანებულების მე-2 მუხლის შესასრულებლად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით მოქალაქეთა პირადი საკუთრების შენობების აღების დროს, ამ მოქალაქეებს მიეცემათ ასაღები შენობებისა და ნაგებობების (სახლების, ფარდულების, სარდაფების, ჭებისა და სხვ.) ღირებულება, ან მოქალაქეთა და მათი ოჯახების წევრთა სურვილით მიეცემათ არსებული ნორმების მიხედვით ბინები, ასაღებ შენობათა და ნაგებობათა ღირებულების აუნაზღაურებლად. სხვა პირებს, რომლებიც ასაღებ შენობებში მუდმივად ცხოვრობენ არანაკლებ ერთი წლისა, მიეცემათ საცხოვრებელი ფართობი არსებული ნორმების მიხედვით.

2. ამ დადგენილების 1 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საცხოვრებელი ფართობი მიეცემათ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სადაბო საბჭოების სახლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ მიწის ნაკვეთები გამოეყოფათ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომელთაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 29 ივლისის № 481 დადგენილების შესაბამისად ეძლევათ კაპიტალური დაბანდებანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის, მაშინ საცხოვრებელი ფართობი მოქალაქეებს მიეცემათ ამ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სახლებში.

3. ასაღები შენობებისა და ნაგებობათა ღირებულება, რაც მოქალაქეებს უნდა აუნაზღაურდეთ, განისაზღვრება შეფასებითი ნორმებით, რომლებიც გამოიანგარიშება საშენი მასალების მოცემულ ადგილას მოქმედი საბითუმო ფასების, ტვირთზიდვის ტარიფებისა და მშენებლობაზე დასაქმებულ მუშათა ხელფასის განაკვეთების მიხედვით, ამ შენობათა და ნაგებობათა გაცვეთის გათვალისწინებით (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 11 დეკემბრის დადგენილება — სსრკ დად. კრ. 1959 წ. № 20 მუხ. 162).

მოქალაქეებს ასაღებ შენობათა და ნაგებობათა ღირებულებას აუნაზღაურებენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ან ის საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებსაც მიწის ნაკვეთები გამოეყოფათ.

4. ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში მოქალაქეთა პირადი საკუთრების შენობების აღების დროს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ან საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომელთაც მიწის ნაკვეთები გამოეყოთ, გადაუხდიან აღნიშნულ მოქალაქეებს (ასაღები შენობების ღირებულების ანაზღაურებისაგან ან ბინების მიცემისაგან დამოუკიდებლად) ხილ-კენკრის ნარგავების ღირებულებას და ნათესების ღირებულებას დაწესებულ ფასებში.

5. დაწესდეს, რომ ანაზღაურებულ უნდა იქნას ხილ-კენკრის ნარგავები და ნათესები, რომლებიც მდებარეობენ მოქალაქეებისათვის კანონით დაწესებული ნორმების ფარგლებში გამოყოფილ ნაკვეთებზე.

ხილ-კენკრის ნარგავები და ნათესები, რომლებიც მდებარეობენ მიწის ნაკვეთის იმ ნაწილში, რომელიც აღემატება კანონით დაწესებულ ნორმებს, — არ უნდა იქნას ანაზღაურებული.

6. ასაღები შენობების, ნაგებობების, ხილ-კენკრის ნარგავებისა და ნათესების ღირებულების შესაფასებლად (ამ დადგენილების 1

და 4 მუხლები) მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები შექმნიან კომისიებს შემდეგი შემადგენლობით: მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომის წევრი (თავმჯდომარე), აღმასკომის კომუნალური და საფინანსო განყოფილებათა წარმომადგენლები, იმ საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების წარმომადგენლები, რომლებსაც მიწის ნაკვეთები გამოეყოთ, აგრეთვე სხვა ორგანოების წარმომადგენლები მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომის შეხედულებით, კომისიები აღნიშნულ საკითხებს გადაწყვეტენ იმ მოქალაქეთა მონაწილეობით, რომლებსაც ასაღები შენობები ეკუთვნით, კომისიების გადაწყვეტილებებს დაამტკიცებს შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომი.

7. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება ასაღები შენობების ღირებულების შეფასების შესახებ, აგრეთვე ხილ-კენკრის ნარგავებისა და ნათესების ღირებულების განსაზღვრის შესახებ შეიძლება გასაჩივრებულ იქნას ათი დღის ვადაში შესაბამისად თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში (ქალაქ თბილისის რაიონებისათვის), სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებში და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში.

8. ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესი შეფარდებული იქნება იმ შემთხვევებშიაც, როდესაც გადაწყვეტილებანი მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ მიღებულია ამ წესის გამოცემამდე, მაგრამ ანგარიში არ არის გასწორებული.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 2 ივლისი, № 436

ნ'/310

გამომცემი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველობა

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა № 728

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა